თბილისის საქრებულოს ამუშავების ახალი ინიციატივა - ერთ დღეს ახალი წევრები, მეორე დღეს - ძველები A3

უშიშროების სამინისტრო აღარ იარსებებს A7

ევროისტორია B4-B5

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 26 სექტემბერი, 2002 წელი. №116

ფასი 50 თეთრი

პანკისში დაკავებულები გორში გადაიყვანეს A7

კონსტიტუციურია, მაგრამ დარღვევაა A7

ამინდი

თბილისი	29
ქუთაისი	32
ბათუმი	29
სოხუმი	30
ფოთი	30
თელავი	28
ზუგდიდი	32
გორი	27
ახმეტა	28
ჭიათურა	29
გაგრა	29
სამტრედია	31

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1801
[illegible]	[illegible]
[illegible]	[illegible]
[illegible]	[illegible]

საქართველო ნაცნობი და დღემდე უცნობი საფრთხეების ქრილში

უშიშროების ანალიტიკოსები "24 საათის" რედაქციაში. იერი ლობჟანიძის ფოტო

2 სექტემბერს, საქართველოს უშიშროების სამინისტროში, ანალიტიკური ბიუროს სახით, ახალი სტრუქტურა ჩამოყალიბდა. მანამდე სრულფასოვანი ანალიტიკური სამსახური სისტემაში არ არსებობდა.

პირველი დოკუმენტი, რომელიც ამ ბიუროს ეგიდით შეიქმნა, საკმაოდ სქელტანიანია და, რაც მთავარია, საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემებს ეხება. მას სამი ავტორი ჰყავს – ანალიტიკური ბიუროს ხელმძღვანელი, უშიშროების პოლკოვნიკი ბესიკ ობოლაძე, ბიუროს თანამშრომელი მამუკა ჭოხონელიძე და, მათთან ერთად, საგანგებოდ მოწვეული ექსპერტი - პოლიტოლოგი ვახტანგ მაისაია.

თუმცა, როგორც ბესიკ ობოლაძე ამბობს, ეს დოკუმენტი უფრო რამდენიმე თანამოაზრის ნაშრომია, ვიდრე ბიუროს საქმიანობის ნაყოფი, რადგან სტრუქტურა მხოლოდ ახლახან დამტკიცდა და მას ჩამოყალიბებული სახე არ მიუღია. რაც შეეხება თავად დოკუმენტს, იგი თავს უყრის უამრავ ფაქტობრივ მასალას და, მისი ანალიზით, საქართველოს წინაშე არსებულ რეალურ და აქამდე უცნობ საფრთხეებზე ამახვილებს ყურადღებას.

ამ ანალიტიკური ნაშრომის ავტორები "24 საათის" სტუმრები არიან.

გაგრძელება A8 გვერდზე

საქართველომ რუსეთს დიპლომატიური ბრძოლის ერთი რაუნდი მოუგო

დანარჩენი პანკისის ხეობაში მიმდინარე ოპერაციაზეა დამოკიდებული

გიორგი ხელაშვილი

ნატო-ს თავდაცვის მინისტრებმა, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ და აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა ერთხმად დაუჭირეს მხარი საქართველოს რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ.

გუშინ მსოფლიოს სამ ქალაქში – ვარშავაში, სტრასბურგსა და ვაშინგტონში საქართველოს მხარდასაჭერი განცხადებებით გამოვიდნენ ნატო-ს ქვეყნების თავდაცვის მინისტრები, ევროპის საბჭოს პარლამენტარები და ამერიკის საგარეო საქმეთა უწყება.

ვარშავაში ნატო-ს ქვეყნების თავდაცვის მინისტრების შეხვედრაზე საქართველოს საკითხი რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა წამოჭრა – მისი შეხვედრა

გაგრძელება A5 გვერდზე

ფრანგი "სამთო მსროლელები" ქართველ ოფიცრებს მოამზადებენ

ვერიკო თევზაძე

დავით თევზაძემ მირეი მიუსოსთან ფრანგების ყველაზე ცნობილი იარაღი - გალანტურობა მოიმარჯვა. გრიგორეს ბასარიას ფოტო

თბილისში წარმატებით დასრულდა საფრანგეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის დელეგაციის ვიზიტი, რომელსაც პოლკოვნიკი ჟეან მორნარდი ხელმძღვანელობდა. საქართველოსა და საფრანგეთს შორის სამხედრო თანამშრომლობა ორი წლის წინათ დაიწყო. თუმცა, ეს ურთიერთობა ოფიციალურ ხასიათს არ ატარებდა. ფრანგული მხარის თავშეკავება სავსებით ბუნებრივი იყო. საქართველოს თავდაცვის სფეროში არსებული ქაოსი საკმაოდ ფრთხილ ფრანგებს აიძულებდა, შესაფერის დროს დალოდებოდნენ. ეს "შესაფერისი დრო" 2002 წლის 25 სექტემბერი აღმოჩნდა. გუშინ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კადრების სამმართველოს უფროსმა პოლკოვნიკმა დიმიტრი ლეჟავამ და საფრანგეთის გენშტაბში "პარტნიორობა მშვიდობისათვის" ნატო-ს პროგრამის კოორდინატორმა ჟეან მორნარდიმ ხელი მოაწერეს ოქმს საქართველო-საფრანგეთს შორის თავდაცვის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის შესახებ.

გაგრძელება A3 გვერდზე

მიხეილ სააკაშვილი: "ოპოზიციონერობა თვითმიზანი არ არის"

თამარ ხორბალაძე

უკრაინაში, აშშ-სა და რუსეთში ვიზიტის შემდეგ, დღეს საქართველოში ბრუნდება "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი მიხეილ სააკაშვილი, რომელიც ვიზიტის შედეგების შესახებ "ანგარიშს" ჟურნალისტებს დღესვე ჩააბარებს.

"24 საათის" ხელთ არსებული ინფორმაციით, ვიზიტი, პარტიის სამომავლო პერსპექტივისა და რადიკალური კურსის ნაწილობრივი გადახედვის თვალსაზრისით, მეტად საინტერესო გამოდგა.

უკრაინაში მიხეილ სააკაშვილი შეხვდა დღეისთვის მეტისმეტად გააქტიურებული ოპოზიციის ლიდერს ტიმოშენკოს; აშშ-ში ვიზიტის დროს შეხვედრები გამართა სახელმწიფო დეპარტამენტში, ასევე - სენატორ მაკკეინთან, სენატორ ჩაქ ჰეიგელთან, ჯორჯ სოროსთან და სხვებთან; რუსეთში შეხვდა მემარჯვენეებს და "იაბლოკოს" ლიდერს იავლინსკის.

სავარაუდოდ, აშშ-ში ვიზიტი, გადამწყვეტი აღმოჩნდა მიხეილ სააკაშვილის მიერ საქართველოს ხელისუფლების მიმართ პოზიციის გარკვეულწილად შერბილებაში.

გუშინ სააკაშვილი გამოვიდა რადიო "ეხო მოსკვი"-ს პირდაპირ ეთერში, სადაც საქართველოს ხელისუფლების საგარეო პოლიტიკას რუსეთთან მიმართებაში, ფაქტობრივად, სრული მხარდაჭერა გამოუცხადა:

"ჩვენ არ ვეთანხმებით ედუარდ შევარდნაძის კურსს, ძირითადად, საშინაო პრობლემებთან დაკავშირებით. ანუ, იმ საკითხებში, რომლებიც ეხება კორუფციასთან ბრძოლას, უფრო სწორად, ბრძოლაზე უარის თქმას, ხელისუფლების მაღალ ეშელონებში ფართომასშტაბიანი კორუფციის არსებობას.

გაგრძელება A3 გვერდზე

ვახტანგ რჩეულიშვილის ოცნებების სასაფლაო

გიორგი ასანიშვილი

იმ საპარლამენტო დელეგაციის წინამძღოლის საკითხმა, რომელმაც რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებთან უნდა გამართოს მოლაპარაკებები, ვახტანგ რჩეულიშვილისთვის ლამის სასიცოცხლო აუცილებლობის მნიშვნელობა შეიძინა. ქართული დელეგაციის მეთაურის უფლებამოსილების მისაღებად, ვიცე-სპიკერმა უმაღლესი სახელისუფლებო წრეები შემოიარა და, როგორც თავად ირწმუნება, "ნდობის მანდატი" თავად პრეზიდენტისა და სახელმწიფო მინისტრისგან მიიღო. ამასთან, სოციალისტური პარტიის თავმჯდომარემ ყველა ღონე იხმარა იმისთვის, რომ არ ჩაშლილიყო პარლამენტის ბიუროს სხდომა, რომელზეც, მისი 19 მხარდამჭერის წერილობითი თანხმობით, ოფიციალურად უნდა გაფორმებულიყო მოსკოვში რჩეულიშვილის გამგზავრება. მეტიც: თავის დაზღვევის მიზნით, პარლამენტის ერთ-ერთმა თავკაცმა უზენაეს სასამართლოს თათბირი გადაადებინა (?!), რომელსაც პარლამენტის ბიუროს რამდენიმე წევრი უნდა დასწრებოდა. ბოლოს კი თავად საკანონმდებლო ორგანოს მუშაობაც შეაჩერა, რათა დეპუტატები პლენარული სხდომების დარბაზიდან ბიუროს ოთახში გადაესროლა. ასეთი კოლოსალური ძალისხმევის მიუხედავად, კვორუმის არარსებობის გამო, ბიუროს სხდომა მაინც არ შედგა და ვიცე-სპიკერის ოცნებები დაიმსხვრა.

მაინც რატომ იბრძოდა ასეთი შეუპოვრობით ქართველი სოციალისტების ლიდერი საპარლამენტო

გაგრძელება A3 გვერდზე

ვაშინგტონიდან მოსკოვში ჩასული მიხეილ სააკაშვილი ქართული ოპოზიციისა და ხელისუფლების სოლიდარობაზე საუბრობს A3

"დედამიწის მეგობრები" ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს ემტერებიან A4

ბრიტანეთისა და თურქეთის ავიაკომპანიები საქართველოში უკანონოდ დაფრინავენ? A4

ლარი შვიდი წლის გახდა A4

"სი-ენ-ენი" და "ეი-ბისი ნიუსი" ერთიანდებიან A4

"Кучму геть" – უკრაინაში პრეზიდენტის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას A5

პანკისში ნარკობარონებზე იერიში მიიტანეს A7

საიდუმლო დოკუმენტი და ანალოგია უახლეს წარსულთან

უშიშროების საბჭოს უკვე სკანდალურად ქცეული დოკუმენტის შესახებ, გუშინ, მთავრობის სხდომაზე, პრეზიდენტს კომენტარი არ გაუკეთებია. სამაგიეროდ, ისევ ძალაში დარჩა მისი მოთხოვნა, რომ გენერალურმა პროკურორმა და იუსტიციის მინისტრმა წარმოადგინონ დასკვნა, თუ რამდენად შეესაბამება ამ დოკუმენტის 27-ე მუხლი კონსტიტუციას. ეს დასკვნა პრეზიდენტს გუშინ უკვე წარუდგინეს, თუმცა, იგი პრესისათვის ხელმისაწვდომი ჯერ არაა.

შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ ამ დასკვნაში კიდევ ერთხელ იქნება ხაზგასმული კანცელარიის ყველაზე სერიოზული არგუმენტი, რომ 27-ე მუხლში დაშვებულია ტექნიკურ-რედაქციული ხასიათის შეცდომა. კანცელარიაში ჯიუტად იმეორებენ, რომ ტექსტის პირველ ვარიანტში, დეპუტატებთან ერთად, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებიც იყვნენ მოხსენიებულნი.

დასკვნაში, ბუნებრივია, ცალსახად იქნება ნათქვამი ისიც, რომ ეს პუნქტი არ არღვევს კონსტიტუციას და სრულ შესაბამისობაშია მასთან. თავისთავად ცხადია, რომ გენერალური პროკურორი

გაგრძელება A3 გვერდზე

სამხრეთ კავკასიის ენერგოსისტემების გაერთიანებულმა სადისპეტჩერო ცენტრმა თბილისში არსებობა შეწყვიტა

მაია ურუშაძე

გუშინ, რუსეთის გაერთიანებული ენერგოსისტემის წარმომადგენლებთან ერთად, ქართულმა მხარემ მიიღო გადაწყვეტილება სააქციო საზოგადოება "პონტოელის" გაუქმების შესახებ. მოლაპარაკებაზე ქართულ ინტერესებს "ელექტროდისპეტჩერიზაციის" გენერალური დირექტორი, სააქციო საზოგადოება "პონტოელის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ბორის კოჟორიძე წარმოადგენდა.

"პონტოელი" უფუნქციო ორგანიზაცია იყო და ახლა ოფიციალურადაც გაუქმდა. ის, ფაქტობრივად, თავიდანვე უმოქმედო იყო, რადგან, რეალურად, აღარაფრის მართვას აღარ ახორციელებდა – სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ენერგოსისტემები ერთმანეთთან პარალელურად მაინც არ მუშაობენ. არავის ჰქონდა "პონტოელის" შენახვის საშუალება, ამიტომაც ტყუილუბრალოდ გროვდებოდა საბიუჯეტო და სახელფასო დავალიანებები. ამის გამო, რუსები მისი გაუქმების ინიციატივით გამოვიდნენ," – განაცხადა ბორის კოჟორიძემ.

ზოგადად, ენერგოსისტემებისთვის საფრთხეს წარმოადგენს ელექტროენერგიის ძირითადი მახასიათებლების – სიხშირისა და ძაბვის ცვალებადობა. ამ პარამეტრების შენარჩუნება დიდი ენერგოსისტემებისთვის უფრო იოლია, ვიდრე პატარა მოცულობის ქსელებისთვის. გარდა ამისა, დიდი ენერგოსისტემებისთვის

გაგრძელება A4 გვერდზე

რუსეთი საქართველოს ეკონომიკას ანგრევს

ჩრდილოელი მეზობელი საქართველოდან რესურსებს ტუმბოსავით იწოვს

გვანცა კვინიკაძე

რუსეთის მუქარა საქართველოს წინააღმდეგ სანქციების შემოღების შესახებ, ორი ქვეყნის ეკონომიკურ ურთიერთობებზე, ჯერჯერობით, არ ასახულა. წლის პირველ რვა თვეში საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთა ათეულში ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს კვლავაც პირველი ადგილი უკავია და ვაჭრობის მოცულობით მეორე ადგილზე გასულ თურქეთს საგრძნობლად უსწრებს. რუსეთი, ასევე, ლიდერობს საქართველოსთან არალეგალური ვაჭრობის (კონტრაბანდის) მოცულობითაც. ეს ფაქტი ზოგიერთი ექსპერტის მიერ აღიქმება რუსეთის მხრიდან განხორციელებულ ეკონომიკურ დივერსიად, რომლის წყალობითაც ქართული ეკონომიკა ინგრევა, რუსეთისა კი იზრდება.

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი

B2 კულტურა B3 ანკეტა B4-B5 იუმორი B6 განცხადებები B7 სპორტი B8 სხვადასხვა

საქართველო ნაცნობი და დღემდე უცნობი საფრთხეების ჭრილში

პირველი გვერდიდან

კვლევის მიზანი

ბესიკ ობოლაძე: - ეს დოკუმენტი ღია წყაროებზე დაყრდნობით შემუშავებული ანალიტიკური ნაწრომია. შესაბამისად, მისი სამსჯავროზე გამოტანით ქვეყნის უსაფრთხოებისთვის საფრთხეს არ ვქმნით. უამრავი ინფორმაციის თავმოყრით და ანალიზით ვცადეთ, ჩამოგვეყალიბებინა კავკასიის რეგიონისა და, განსაკუთრებით, საქართველოსთვის აქტუალური პრობლემების სისტემური ხედვა. შევეცადეთ, შეგვეჯამებინა იმ ძირითადი პოლიტიკური სუბიექტების ინტერესები, რომლებსაც განსაკუთრებული მიზნები აქვთ სამხრეთ კავკასიის რეგიონში. კვლევაში ყურადღება გავამახვილეთ იმ აქცენტებსა და ნიუანსებზე, რომელიც ქართული სპეცსამსახურების ინტერესების არეალში უნდა მოექცეს.

მამუკა ჭოხონელიძე: - დოკუმენტში, ჩვენი აზრით, რამდენიმე აქტუალური თემა წამოვწიეთ და განვიხილეთ. მათ შორის, ტერორიზმის თეორიულ-კონცეპტუალური საფუძვლები, მისი დამახასიათებელი ნიშნები, ვაჰაბიზმი კავკასიაში, სპეცსამსახურთა კავკასიური თამაშები და ასე შემდეგ. მოგვიანებით ჩამოვაყალიბეთ სამხრეთ კავკასიაში არსებული მდგომარეობის პრობლემური ხედვა და გავაკეთეთ ძირითადი მოთამაშე სუბიექტების ინტერესების კლასიფიკაცია. ვცადეთ, შეგვექმნა მათი ამოცანების, მიზნების, მისწრაფებების მოზაიკური სურათი.

ახალი მსოფლიო საფრთხე

ბესიკ ობოლაძე: - XX საუკუნის დასასრულამდე საერთაშორისო ურთიერთობებში მთავარ მოთამაშეებად გვევლინებოდნენ სახელმწიფოები, მათი ლიდერები, საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, სეპარატისტული რეჟიმები, თვითმარქვია ავტონომიები და ასე შემდეგ. მოულოდნელად ასპარეზზე ჩნდება კიდევ ერთი ახალი სუბიექტი. ეს არის ტრანსნაციონალური ტერორისტული გაერთიანებები, იგივე კარტელები, რომლებსაც აბსოლუტურად ახალი ხედვა, ახალი ფუნქცია აქვთ და არ ჯდებიან ჩვენს ცნობიერებაში დღემდე არსებულ საფრთხეთა ჩამონათვალში.

ქვეყნების უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ასევე პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების დაცვის აუცილებლობამ მოითხოვა ამ ტერმინის ახლებური გააზრება. საფრთხეების კლასიფიკაციაში უნდა მოხდეს გარკვეული ცვლილებები. მხოლოდ ამ პირობებშია შესაძლებელი საფრთხის პრევენცია და თავიდან აცილება.

აქამდე ტერმინში "საფრთხე" ჩვენ ვგულისხმობდით იმ რეალურ თუ პოტენციურ წინააღმდეგობებს, რომელიც, შეიძლება, არსებობდეს სახელმწიფოსა და საზოგადოებას, სახელისუფლებო შტოებს, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის. ასევე ვგულისხმობდით წინააღმდეგობებს სახელმწიფოებს შორის, აგრესიას, რომელიც, შეიძლება, მოდიოდეს მტრულად განწყობილი უცხო ქვეყნებისაგან.

დღეს საქმე გვაქვს სრულიად ახალ ფენომენთან, რომელიც არ ექცევა ჩამოთვლილი საფრთხეების კლასიფიკაციაში.

მამუკა ჭოხონელიძე: - პრაქტიკულად, ამ ტერორისტულმა ორგანიზაციებმა მიიღეს იდეოლოგიური გაერთიანებების სახე. ისინი არ არიან მხოლოდ შეიარაღებული სამხედრო ფორმირებები. ეს არის რელიგიურ სარჩულს ამოფარებული ორგანიზაციები და, აქედან გამომდინარე, ბევრად უფრო სიცოცხლისუნარიანიც არიან. შესაბამისად, მათი ქმედებები ხანგრძლივ პერიოდზეა გათვლილი.

დღეს ძალიან ხშირად გვესმის "ალ ქაიდას" მოძრაობის შესახებ. უფრო ნაკლები ყურადღება ექცევა ისეთ ორგანიზაციას, რომელიც შეიქმნა 1998 წელს და რომელშიც "ალ ქაიდაც" გაწევრიანდა. ეს არის "ებრაელებისა და ჯვაროსნების წინააღმდეგ მებრძოლი მსოფლიო ფრონტი". "ალ ქაიდას" გარდა, მასში გაწევრიანდნენ ეგვიპტის, პაკისტანის, ავღანეთის ტერორისტული ორგანიზაციები. ამ გაერთიანებით ტერორისტულმა ორგანიზაციებმა თავიანთი ურთიერთობების ლეგალიზება მოახდინეს. ფრონტის საბჭოს თავმჯდომარე უსამა ბინ ლადენია. ორგანიზაციულად ეს სტრუქტურა ასე გამოიყურება: "ებრაელებისა და ჯვაროსნების წინააღმდეგ მებრძოლ მსოფლიო ფრონტს" მსოფლიოში 24 რეგიონალური ორგანიზაცია აქვს. სხვათა შორის, 11 სექტემბერი დასავლეთისა და ჩრდილოეთ ამერიკის რეგიონალური ორგანიზაციის ნახელავია. კავკასიაში მათ თავიანთი რეზიდენტურა ჰყავთ, რომელიც, თავის მხრივ, სამი რეზიდენტურისაგან

მამუკა ჭოხონელიძე

ვახტანგ მაისაია

ბესიკ ობოლაძე

ფოტო ლევან ლორთქიფანიძის

შედგება - დასავლეთის, ჩრდილოაღმოსავლეთისა და სამხრეთის. სამხრეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელი იყო ცნობილი ხატაბი, რომელიც, როგორც ამბობენ, დაიღუპა, თუმცა, დანამდვილებით არავინ იცის, რამდენად სწორია ეს ვერსია.

"ისლამურ ფრონტს" აქვს საკუთარი სტრატეგიული და ლოკალური ინტერესები. მიმდინარე ინტერესებად შეიძლება შევაფასოთ ამერიკისა და დასავლეთის ქვეყნების დემორალიზება, რათა ამ სახელმწიფოებმა ვერ შეძლონ მათ არეალში შესული ისლამური ქვეყნების საშინაო პოლიტიკაში ჩარევა. მათ ერთ-ერთ მთავარ ამოცანას ასევე წარმოადგენს მუსულმანური ქვეყნების რეჟიმებზე ზემოქმედება, მათთვის მისაღები პოლიტიკის გატარების მიზნით. ფრონტის უმთავრესი ამოცანა კი ეგრეთ წოდებული "მწვანე ინტერნაციონალის," ანუ ერთიანი ისლამური სახელმწიფოს შექმნაა.

ვაჰაბიზმი, თალიბანი და კავკასია

მამუკა ჭოხონელიძე: - როგორც ცნობილია, დღეისათვის კავკასიის რეგიონი მოიაზრება ფუნდამენტალური ისლამისა და მასთან დაკავშირებული ისლამური ტერორიზმის გავრცელების საშიშროების ზონად. იქიდან გამომდინარე, რომ ამ საკითხებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის, ჩვენ ვეცადეთ, გაგვერკვია ისლამური ფუნდამენტალიზმის რეგიონალური გამოვლინებები და საფრთხეები კავკასიის რეგიონისა და, მათ შორის, საქართველოს, პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარებისათვის.

როდესაც კავკასიის პრობლემატიკაზე ვსაუბრობთ, უნდა დავკონკრეტდეთ ვაჰაბიზმის ირგვლივ, რადგან იგი პირდაპირ უკავშირდება ტრანსნაციონალურ ტერორისტულ ორგანიზაციებს, კონკრეტული სახელმწიფოების ინტერესებს და ამ რეგიონში მათი სპეცსამსახურების გააქტიურებას.

განიხილავენ პაკისტანურ-ავღანურ ვაჰაბიზმს, რომელიც გულისხმობს სწრაფ ჯიჰადს, დაუყოვნებლივ საღვთო ომს და საუდის არაბეთის ვარიანტს, რომელიც უფრო ხანგრძლივი ჯიჰადისკენ იხრება და სრულფასოვან იდეურ მომზადებას გულისხმობს. მიზანი კი ყველასათვის ერთია – ეს არის ერთიანი ისლამური სახელმწიფოს, ანუ "მწვანე ინტერნაციონალის" შექმნა.

თავად საუდის არაბეთში ვაჰაბიზმს რამდენიმე მიმართულება აქვს - დაწყებული უკიდურესად ლიბერალურიდან, დამთავრებული უკიდურესად რეაქციულით. სწორედ აგრესიული ვაჰაბიზმი იქცა იდეოლოგიურ პლატფორმად იმ ტერორისტული ორგანიზაციებისათვის, რომლებიც კავკასიაში დამკვიდრდნენ.

ბესიკ ობოლაძე: - ისლამური ფუნდამენტალიზმი კავკასიაში 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან იწყებს გავრცელებას. ეს იყო იდეურ-რელიგიური შემოჭრა, რომელსაც ჩრდილო-კავკასიაში საკმაოდ ნოყიერი ნიადაგი დახვდა. ეს, პირველ რიგში, ათეისტური მოსახლეობა იყო, რომელიც ისლამურ ფესვებთან დაბრუნებას ლამობდა და არაფერი იცოდა ახალი რელიგიური მიმდინარეობების შესახებ. ვაჰაბიზმის გავრცელებას ხელს არ უშლიდა არც ადგილობრივი ხელისუფლება. ამას ხელს უწყობდა სოციალური ფონიც, მოსახლეობაში რიგდებოდა 800 დოლარის ოდენობის ერთჯერადი დახმარებები. სხვათა შორის, პირველი მისიონერი იორდანიის მოქალაქე იყო.

ჩვენ შევძელით, დაგვეკონკრეტებინა ვაჰაბიზმის გავრცელების რამდენიმე არხი. გამავრცელებლები იყვნენ მისიონერები საუდის არაბეთიდან, ეგვიპტიდან და სხვა ქვეყნებიდან (სწორედ საუდის არაბეთის ფაქტორმა განაპირობა ისიც, რომ განახლებული და აღორძინებული ორთოდოქსული ისლამის მომხრეებს ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში ვაჰაბისტები უწოდეს). ვაჰაბიზმს ავრცელებდნენ ისლამურ ქვეყნებში ჩრდილოკავკასიური დიასპორების წარმომადგენლები, ასევე ჩრდილოეთ კავკასიიდან ამ ქვეყნების თეოლოგიურ სასწავლებლებში წასული და უკან დაბრუნებული სტუდენტები და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ახლო აღმოსავლეთისა და სხვა ქვეყანათა სპეცსამსახურების მიერ მომზადებული კადრები, რომლებმაც ამ რეგიონში ჩამოაყალიბეს ვაჰაბისტური ორგანიზაციები და, მოგვიანებით, სამხედრო ორგანიზაციები. მათ სხვა ჯგუფების მიერ მომზადებული ადამიანებიც გამოიყენეს.

უნდა ითქვას, რომ ვაჰაბისტური იდეოლოგია ძალიან მომგებიანი აღმოჩნდა რეგიონში. ეს ხელს აძლევდა ჯოხარ დუდაევსაც, რადგან ვაჰაბისტებმა მას სამხედრო და ფინანსური დახმარება აღმოუჩინეს. დუდაევისათვის ვაჰაბიზმი ჩეჩნეთის გამაერთიანებელი და შემკვრელი იდეოლოგია ხდებოდა. რაც უფრო მწვავდებოდა რუსეთ-ჩეჩნეთის ურთიერთობა, მით უფრო მატულობდა ვაჰაბიზმის იდეოლოგიის გამავრცელებელთა რიცხვი და მისი იდეოლოგიური ცენტრები ჩრდილოეთ კავკასიაში.

მოგვიანებით, ვაჰაბიზმი თავად ჩეჩენ ხელისუფალთათვის იქცა პრობლემად, რადგან იგი არ არის ერთგვაროვანი მოვლენა. კავკასიაში ვაჰაბისტებს არ აქვთ ერთიანი, მკაცრი ორგანიზაციული სტრუქტურა და ერთიანი რელიგიურ-სამართლებრივი დოქტრინა. რეგიონში მოძრაობამ ცვლილება განიცადა, დაკარგა თავისი პირვანდელი სახე, უკიდურეს ექსტრემისტულ პოზიციებამდე დავიდა და რუსეთის სამართლებრივ სისტემასთან კონფლიქტში შევიდა.

ტრადიციული ისლამის დამშლელი რელიგიური მიმდინარეობის გავრცელება თავის დროზე რუსეთსაც აძლევდა ხელს. რუსეთის სპეცსამსახურები გარკვეულ ეტაპზე ამ პროცესს ხელს არ უშლიდნენ. თუმცა, ასეთი მიდგომა რუსეთისთვის სერიოზულ პრობლემად გადაიქცა. საქმე ის არის, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში გავრცელებული სახეცვლილი ვაჰაბიზმი გახდა პოტენციური დასაყრდენი ყველა იმ ძალისათვის, რომელიც დაინტერესებულია კავკასიური თამაშებით. აქ, პირველ რიგში, იგულისხმებიან ფუნდამენტალური ისლამის მიმდევარი ქვეყნები, რომლებიც სპეცსამსახურების მეშვეობით ეწეოდნენ ვაჰაბიზმის ექსპორტს. მაგალითად, 90-იანი წლების დასაწყისში.

ბოლოდროინდელი პროცესების ფონზე, რადიკალ-ისლამისტების ერთგვარ სინონიმებად იქცნენ თალიბანის მოძრაობა და "ალ ქაიდას" ტერორისტული ქსელი. ყველაზე მეტი საშიშროებაც კავკასიის რეგიონში სწორედ ამ ტერორისტული ორგანიზაციებიდან არის მოსალოდნელი, რადგან მათი კავკასიური თამაშებისთვის, ძველი ისტორიული მოთამაშეებისაგან განსხვავებით, უფრო მეტი მობილურობა და აგრესიაა დამახასიათებელი.

აქტიურობის მთავარი მიზეზები

ვახტანგ მაისაია: - თალიბანი, მასზე გამოცხადებული საერთაშორისო სანქციების გათვალისწინებით, ეძებდა შემოსავლების გაფართოების გზებს, რომელთაგანაც ყველაზე მომგებიანი იყო ნარკოტიკების მოყვანა და მისი გატანა საერთაშორისო ბაზრებზე. საერთოდ, თალიბანი ლაოსის სამკუთხედის სივრცეში (ლაოსი, ტაილანდი, კამბოჯა) ნარკოტიკების ყველაზე მსხვილი მწარმოებელი და გამსაღებელი სუბიექტი იყო. თალიბები ნარკოტიკების გასაღებით ყოველწლიურად 300 მილიონ ამერიკულ დოლარს ღებულობდნენ. საქართველო მათთვის სატრანზიტო ქვეყანა გახდა. ბალკანეთზე და შემდეგ ევროპაზე გასასვლელ დერეფანში საქართველოც მოექცა. მათი ამოცანა იყო ამ დერეფნის გასუფთავება, გაკონტროლება, ნარკოტიკებისა და იარაღის ტრანზიტი. მეორე მთავარი მიზანი ისლამური იდეოლოგიის ექსპორტი გახლავთ, რომელიც თალიბანის საგარეო-პოლიტიკური დოქტრინის ერთ-ერთი მთავარი პოსტულატია.

ბესიკ ობოლაძე: - რაც შეეხება "ალ ქაიდას", ჩვენი მიდგომით და ანალიზით, ამჟამად "ალ ქაიდასთან" დაკავშირებული ტერორისტული ორგანიზაციებისა და მათ უკან მდგომი სპეცსამსახურების გააქტიურების თავი და თავი ნავთობია. სხვა დანარჩენი მხოლოდ იარაღია. მათი მთავარი მიზანი ევროაზიული ზონის კონტროლია, რომელიც პირდაპირ უკავშირდება კასპიის ზღვის სტატუსსა და რუსეთ-ამერიკის ურთიერთობების პერიოდულ დათბობას. ბუნებრივია, საქართველოც, როგორც ნავთობის გამტარი ქვეყანა, ექცევა "ალ ქაიდას" ინტერესების არეალში

ვახტანგ მაისაია: - კასპიის ნავთობის მარაგის საერთო მაჩვენებელი 2-4 პროცენტის ფარგლებში მერყეობს, თუმცა, ზოგი მკვლევარი 8 პროცენტს ვარაუდობს, ზოგიც – 10-ს. ეს საკმაოდ დიდი მაჩვენებელია. სამწუხაროდ, საქართველო ვერ ასცდა რეალობას. ამ ქვეყნებს აქვთ საკუთარი კვოტა ნავთობის მოპოვებაზე. მათთვის ამ კვოტების დარღვევა არ არის ხელსაყრელი. ამ დროს უცბად ჩნდება ახალი არეალი, ახალი ენერგოწყარო, რომელმაც, შეიძლება, გავლენა მოახდინოს ამ ქვეყნების მდგომარეობაზე.

საუდის არაბეთი წარმოადგენს ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის – ოპეკის მთავარ ძალას. შესაბამისად, კასპიის ნავთობის მსოფლიო ბაზარზე გასვლა იწვევს საკმაოდ დიდ ინტერესს კავკასიისადმი. შემთხვევითი ნამდვილად არ არის ისიც, რომ საუდელმა ბინ ლადენმა დიდი ინტერესი გამოხატა კავკასიის მიმართ.

პანკისის პრობლემა

ვახტანგ მაისაია: - პანკისის პრობლემა საქართველოსთვის ჯერ კიდევ რუსეთის მიერ წარმოებული პირველი ანტიჩეჩნური კამპანიის მსვლელობაში წარმოიქმნა. ამ პერიოდში ჩეჩნეთიდან საქართველოს ტერიტორიაზე ვაჰაბისტების დიდი ნაწილი გადმოვიდა. თუმცა, ამ პრობლემამ განსაკუთრებული აქტუალობა 11 სექტემბრისა და ავღანური კამპანიის შემდეგ შეიძინა. ახალი გეოპოლიტიკური კონფიგურაცია წამგებიანი აღმოჩნდა რუსეთისათვის, რამაც, ცხადია, განაპირობა მის ხელთ არსებული ზეწოლის ბერკეტების მობილიზება და ახალი ძალებით ამოქმედება.

მამუკა ჭოხონელიძე: - პანკისის ხეობა კონფლიქტური სიტუაციის ყველა სინდრომით დასნეულებული რეგიონია, რომლის საქართველოსგან განზიდვის ფარული თუ აშკარა პროცესი უკვე დაწყებულია. ამასთან, კონფლიქტის გლობალიზაციის შემთხვევაში, იქმნება რელიგიურ-ეთნიკური დაპირისპირების საფრთხე. არ არის გამრიცხული, რომ ქისტებს, "მესამე ძალის" წაქეზებით, ავტონომიის მოთხოვნა გაუჩნდეთ. მით უმეტეს, რომ მათში პოპულარულია გავრცელებული იდეა "პატარა ჩეჩნეთის" არსებობის შესახებ.

ხეობის თვითიზოლირების მაღალი დონის გასამართლებლად, დაინტერესებული ძალების მხრიდან იქმნება სხვადასხვა სახის ისტორიულ-რელიგიური და კულტურული თეორიები. შეინიშნება სახელმწიფო სტრუქტურების ჩანაცვლება შარიათის სასამართლოთი, უხუცესთა საბჭოებით, წესრიგის დამცველთა ჯგუფებით. საგულისხმოა, რომ ქისტი მოსახლეობა ხეობაში ავიწროებს სხვა ეთნიკური ჯგუფების (ქართველები, ოსები) წარმომადგენლებს. ეს, არც ისე იშვიათად, იარაღის გამოყენებით ხდება.

ქისტი მოსახლეობა ძირეულად განსხვავდება ქართული მოსახლეობისაგან და გვევლინება, როგორც საქართველოს ფარგლებში არსებული ე.წ. "სუბიექტური ავტონომიის" თითქმის ყველა ნიშნის მატარებელ ეთნიკურ ჯგუფად, რომელიც თვითიდენტიფიკაციას ახდენს ჩეჩენ ხალხთან. რუსეთ-ჩეჩნეთის კონფლიქტმა დიდი გავლენა მოახდინა ადგილობრივი ქისტი მოსახლეობის შეხედულებების შემდგომ ჩამოყალიბებაზე, რომელიც ანტიქართული მიმართულებით ვითარდება. ამასთან, ლტოლვილთა განსახლებამ წარმოქმნა დამატებითი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები.

გასათვალისწინებელია ჩეჩნეთიდან ლტოლვილთა ზოგიერთი წარმომადგენლის საქართველოში დამკვიდრების მცდელობა. ისინი ყველა ხერხით ცდილობენ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის მოპოვებას, რასაც ხშირად ახერხებენ კიდეც. ისინი ქმნიან საკუთარი ლეგალიზაციის წინაპირობებს, აფუძნებენ სხვადასხვა ორგანიზაციებს, რაც მათი დამკვიდრების წინამძღვარი ხდება. აღსანიშნავია, რომ, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მიერ შემუშავებული წინადადებების შედეგად, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განსაკუთრებულ კონტროლზე აიყვანა ამ სახის ორგანიზაციების რეგისტრაცია.

ვითარების განმსაზღვრელ ფაქტორად გვევლინება ვაჰაბიზმის გააქტიურება და მისი როლის ზრდის ტენდენცია, რასაც ხელს უწყობს მუსულმანური სამყაროდან შემოსული სოლიდური ფინანსური და იდეოლოგიური მხარდაჭერა. პანკისის ხეობაში აშენდა მეჩეთი და გაიხსნა არაბული ენის შემსწავლელი სკოლა. ისლამური ორგანიზაციები აფინანსებენ საუდის არაბეთში ქისტი ახალგაზრდების გამგზავრებასა და რელიგიურ სწავლებას. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივ უხუცესებს პრინციპული პოზიცია უკავიათ - მათ იმას მიაღწიეს, რომ ვაჰაბისტების უმეტესობა ემორჩილება უხუცესთა საბჭოებს და ანგარიშს უწევს ტრადიციულ სარწმუნოებას. ამის მიუხედავად, ქისტი ახალგაზრდობის დიდი ნაწილი მხარს უჭერს ვაჰაბიზმს. შემაშფოთებელია ისიც, რომ ვაჰაბისტები ცდილობენ, თავიანთი იდეები საქართველოს სხვა რეგიონებში მცხოვრებ მუსულმანებშიც დაამკვიდრონ.

ის ფაქტი, რომ პანკისში ჩეჩენი ლტოლვილები იმყოფებიან, მნიშვნელოვნად ზრდის ჩრდილოური პროვოკაციების შანსს. რუსეთისთვის კახეთის რეგიონი საქართველოზე სერიოზული პოლიტიკური ზემოქმედების ინსტრუმენტი გახდა. პანკისის ხეობა რუსეთის სპეცსამსახურების ყურადღების ცენტრში მოექცა. კრემლს შეუძლია პროვოკაციების მოწყობა, არ არის გამორიცხული ტერორისტული აქტებიც.

პანკისის ხეობაში მიმდინარე პროცესებით დაინტერესებული არიან სხვა ქვეყნების სპეცსამსახურები და პოლიტიკური ძალები. ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა, საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციების საფარქვეშ, მუსულმანური ქვეყნების ემისრების ვიზიტები ხეობაში. მათ შორის არიან ტერორისტულ ორგანიზაციებთან დაკავშირებული პირებიც.

ქართული სპეცსამსახურების ამოცანა

ბესიკ ობოლაძე: - ანტიტერორისტული ოპერაცია საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯია პანკისში ვითარების გამოსასწორებლად. თანაც, თუკი შევაჯამებთ საფრთხეებს, რომელზეც ვისაუბრეთ, მივხვდებით, რა სერიოზული ამოცანები დგას ქართული სპეცსამსახურების წინაშე. სპეცსამსახურები უნდა გაერკვნენ ყველა დაინტერესებული სუბიექტის კავკასიურ თამაშებში და, პარტნიორ ქვეყნებთან ერთად, ქვეყნის უსაფრთხოება უზრუნველყონ.

სექტემბრიდან რუსთაველ 2 იწყებს ახალ შოუს - „ხალხის პირისპირ". ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეაჯგენთ კითხვებს და მოიგებთ უფულო. თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მონეული კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

მაშ ასე, შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ, შეკითხვების მილება უფასო. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს და ინსტრუქციებს).

ინსტრუქციები კითხვის შედგენელთათვის:

კითხვები ზოგადსაგანმანათლებლო ხასიათის უნდა იყოს, სირთულის დონით კითხვა უნდა უტოლდებოდეს „ალის უნდა 20 000"-ის 200 და 400 ლარად შეფასებულს, (ოღონდ კონკურსანტს არ ეძლევა ოთხი სავარაუდო პასუხის) მაგალითად, რომელ მუსიკალურ ჯგუფში მღეროდა ფრედი მერკური 1971-1991 წლებში? - „ქვეში" ან რომელ მხარეა სასტუმრო ეკუთვნის ფეიფერშეს ეფელური მოის ასოთი ლონდონში? - ინგლისის. შეგიძლიათ შეიტანოთ და გამოგეგზავნოთ კითხვები ნებისმიერი რაოდენობისა. ეს ბლანკი ჩაბეჭდეთ ფოლიოზე ან ფანქრით.

შეკითხვის ტექსტი:

პასუხის ტექსტი:

ინფორმაციის, საკონტაქტო კითხვის სამართლის ავტორისა ან ავტორების ვინაობა:

სახელი და გვარი:

ბინის მისამართი:

საფოსტო ინდექსი:

სამსახურის ტელეფონის ნომერი:

ბინის ტელეფონის ნომერი:

მობილური ტელეფონის ნომერი:

შეკითხვა ბლანკი გამოგზავნილი ფოსტით მისამართზე: სამოქალაქო კომპანია "ოფისიანი 2", ტელეფონორმა "ხალხის პირისპირ", ვაჟა-ფშაველას 43, 380077 თბილისი, ან მოგზავნილი ასევე მისამართზე, ტრ7 სარეფერენტ. შეკითხვები შეიძლება გამოგეგზავნოთ ფაქსით ნომერზე: 20-00-12.

ინფორმაციის ავტორებს:

კითხვები გადაეცემიან „ხალხის პირისპირ" მიღება მიღებულ სპეციალური ბლანკი, რომელიც მოთავსებულია ჟურნალ "24 საათში", ბლანკის ნაბეჭდად ასევე შეიძლება მოამზადოთ "ოფისიანი 2"-ის ოფისში შეტანილ ფასიანზე მისამართზე, ტრ7 სარეფერენტ. სამოქალაქო კომპანია "ოფისიანი 2" ფიზიკის იტოვებს, გადაეცემა ინტერესებიდან გამოფენილ, ცვლილებები შეტანილ, ან არ გამოგეგზავნა ოფენი შეიძლება "ოფისიანი 2" არ არის ვალდებული ეცადოთ - გამოგეგზავნა თუ არა ოფენი ბოლ ბინდებულ შეიძლება. ბლანკი შეტანის უფლება აქვს ყველა სრულწლოვანს.

თუ ეთანხმებით ჩვენს წესებს, გთხოვთ, ხელი მოაწეროთ ბლანკს და მიუთითოთ შევსების თარიღი.

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.